

**სტიქიური მოვლენების ან/და სხვა ობიექტური გარემოებების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების საცხოვრისით, ბინის ქირითა ან/და დაზიანებული სახლების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისა და მასალის დაფინანსება.**

**პროგრამის აღწერა:**

მუნიციპალიტეტში მცხოვრებ იმ პირებს, რომლებსაც სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო დაუზიანდათ ან რომლებმაც დაკარგეს საცხოვრებელი სახლი პროგრამის ფარგლებში საჭიროების შესაბამისად დახმარება გაეწევათ ბინის ქირით ან უზრუნველყოფილი იქნებიან საცხოვრებლით, ან დაფინანსდებიან საამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებით და მასალებით

**ბინის ქირით უზრუნველყოფისათვის საჭირო დოკუმენტაცია:**

- ა) განცხადება მერის სახელზე;
  - ბ) დახმარების მიმღების პირადობის მოწმობა;
  - გ) საცხოვრებელი ადგილიდან მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა სტიქიური მოვლენის აღწერის ან/და უსახლკარობის შესახებ;
  - დ) ბინის მეპატრონისაგან დოკუმენტაცია ქირავნობის ხელშეკრულების გასაფორმებლად.
  - ე) ბინის მეპატრონის პირადი ანგარიში ბანკიდან;
  - ვ) მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მოთხოვნილი სხვა დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებული იქნება განსახილველ საკითხთან.
- ბინის ქირით ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ბინის მეპატრონესა და მუნიციპალიტეტის მერიას შორის დადებული ხელშეკრულების გათვალისწინებით.

**სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებით/მასალებით დახმარებისათვის საჭირო დოკუმენტაცია:**

- ა) განცხადება მერის სახელზე;
- ბ) დახმარების მიმღების პირადობის მოწმობა;
- გ) საცხოვრებელი ადგილიდან მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა დახმარების საჭიროების შესახებ;
- დ) სხვა დოკუმენტი, რომელიც მოთხოვნილი იქნება მერიის შესაბამისი კომისიის მიერ და დაკავშირებული იქნება განსახილველ საკითხთან.

ბინის ქირითა და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისა და სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებით/მასალებით დახმარების თაობაზე განცხადებებს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ბალდათის მუნიციპალიტეტის მერიის „მოქალაქეთა კერძო საკუთრებაზე სხვადასხვა ობიექტური გარემოების შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისია“.